ფასი 7 კაპ.

თბილისი 1 იანვარი.

მოწაფე

...თუ კაცსა ცოდნა არა აქვს
გასტანჯავს წუთი სოფელი...
გურამიშვილი.

გამოცემა მეორე. ალმანახი. 1909 წ.



მოწაფეთა დაჭვეითება და მასთან ბრძოლა.

პირველ ჩვენ წერილში მწუხარებით აღვნიშნავდით მოწაფეთა დაქვეითებას; ამის მიზეზებს ვაწერდით ბოროტძალების გამარჯვებას, რამაც სხვა პირობებთან ერთად განახლების გზაზე დამდგარ სასწავლებელსაც კვლავ ძველი სალტეები შემოარტყა და ძველს კალაპოტში მოამწყვდია. ამ წერილის მიზანი კი ის არის, რომ დაახლოვებით მაინც გავითვალისწინოთ აწინდელი მასწავლებლის საქციელი და მოქმედება. ის მასწავლებლები, რომელთაც ჰსურდათ სულით და გულით გარდაექმნათ სასწავლებლები, რომელნიც მუდამ წინ მიუძღოდენ მოზარდ თაობას, ნანატრ მიზნის განსახრციელებლათ, რასაკვირველია, შესაფერი მსჯავრი მიიღეს. ხოლო ის მასწავლებლები, რომელნიც მხოლოთ ფეხის ხმას აჰყვნენ, მალე მოვიდნენ გონს. თავიანთ „მოუფიქრებელ საქციელის“ გასასწორებლათ, შიშისაგან აცახცახდნენ, მუხლი მოიყარეს მსჯულთა წინაშე და შეჰფიცეს ერთგულება. ამ მასწავლებლებთ იმის მაგივრათ, რომ უმწეოდ დარჩენილ, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ მოწაფეთათვის ხელი გაეწოდებინათ, კვლავ შთაებერათ ძლიერი სული, აღეძრათ იმედი

დიადი მომავალისა, გამართეს ერთი დაუსრულებელი განგაში: „ჰარიქა, მოსწავლე ახალგაზრდობა განსაცდელშია, იგი დაღუპა მოძრაობამ, მალე, ძალიან მალე იგი უნდა განთავისუფლდეს ქუჩაში შეთვისებულ აზრებისაგან და განწმენდილ-განსპეტაკებული დაუბრუნდეს სასწავლებელსაო“ რას უწოდებენ მკითხველო ეს პირები ქუჩაში შეთვისებულ ცოდნას? ეს ქუჩაში შეთვისებული აზრები გახლავთ, მკითხველო, ის აზრები, რომელსაც მოწაფეთა დიდი ნაწილი დაეძებდა და ძველის სასწავლებლის წყალობით მისთვის აკრძალული ხილი იყო და დიდხანს მოუხდებოდა კიდევ ძებნა, რომ არ სწვეოდა დიად მნათობის სხივი, რომელიც მოიწო-ემდა ახალგაზრდობას სიკოცხლის წყაროსაკენ. აი აქედან იყო, რომ მოზარდმა თაობამ გამოიჩინა თავისი სიმამაცე-გამბედაობა, თავისი ინიციატივა; ამ დროიდან გაეხსნა მოწაფეს დახშული გონება და თავისუფლათ იწყო აზროვნება; ამ დროიდან გაიგო, რომ გარდა იმ უშინაარსო წიგნებისა, რომელსაც მათ ყოველ დღე აზეპირებდნენ სასწავლებელში, არსებობენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც და კმაყოფილებენ მოწაფის ცნობის მოყვარეობას, გააცნობენ კაცობრიობის ისტორიას, შეასწავლიან სოციოლოგიას, სრულის სინამდვილით დაუხატვენ არსებულ წყობილების უვარგისობას. ამიერიდან იგრძნო მოწაფემ, თუ რა დიდ ნაყოფს მოუტანდა განახლებული სასწავლებელი, საიდანაც შადრევანივით ამოჩუხჩუხდებოდა მეცნიერების წყარო, მოზარდ თაობის წყურვილის მოსაკლავად. ამ დროიდან ეძლეოდა ქვეყანას იმედი, რომ მისს უვიცობას მალე საზღვარი დაედებოდა, რადგან მალე იხილავდა თავისს გვერდით ამომდგარ მოზარდ თაობას, რომელიც ზვარაკათ შეეწირებოდა ქვეყნის სიბეჩავეს, რომ წინ არ გადაღობებოდა სინათლის მოძულეთა ლაშქარი. ყველა ამას ზედ დაერთო, როგორც უკვე ზემოთ განვმარტეთ, ახალ-ჯურის პედაგოგთა საქციელი, რომელთაც, ნებით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყეს მოწაფეთა თავისუფალ სულის ჩაკვლას, რომელთაც ფრთები შეაკვეცეს მათს აღფრთოვანებას.

— როგორც გაიძახიან ეს პირნი — განმანთავისუფლებელ მოძრაობის დანიშნულება სრულიათაც არ იყო ის, რომ მოზარდ თაობას ზურგი შეექცია პედაგოგიის ყველა მოთხოვნილებისათვისაო: ეს ვაჟბატონები დღესაც ირწმუნებიან, რომ სასწავლებლებში საჭირო რეფორმები კიდევაც განხორციელდა, დღეს საშუალო სკოლა კეთილ განწყობილია და აქაც ისე კარგად არის მოწყობილი საქმე, როგორც სხვა დაწინაურებულ ქვეყნებშიო, ამიტომ იგინი ირწმუნებიან, რომ მოწაფეებმა ეხლავე თავი უნდა ანებონ ახალ სასწავლებლისადმი ლტოლვილებას, თანამედროვე წიგნებისა და ბროშიურების კითხვას, რადგან იგი ვერაფერ სასარგებლოს შესძენს მათ განვითარებას და ამიერიდან უნდა დაუბრუნდნენ სასწავლებელს, სანამ დრო არისო. მათ თუ არ შეასრულეს ის წესები, რომელნიც სასწავლებელში არსებობენ, თუ არ გაიარეს ის პროგრამა, რომელიც მიღებულია, იგინი ვერ გამოვლენ საჭირო ცოდნით აღჭურვილნი იგინი ვერ მიიღებენ ატესტატსა და დიპლომსაო.

მოწაფეები კი სულ სხვანაირად სჯიდენ, მათის აზრით, რა დროს ატესტატებზედ და დიპლომებზედ ფიქრია, რო-

ცა ქვეყანა ნა!წავლ მუშაკთა უყოლობის გამო უვიცობაშია შთანთქმული, როცა ათასობით და ათიათასობით ხალხი სულსა ღაფავს საშინელ სენ ავადყოფობის გამო.

მერე რა ნაყოფი გამოიღო ამ ქადაგებამ? — ის, რაჭედაც პირველ წერილში გვქონდა ბაასი. ერთი ნაწილი დაუბრუნდა თავის პირველყოფილ მდგომარეობას. იგი ატესტატის მისაღებად არაფერ საშუალებას არ დაერიდა, ამოუჯდა გვერდით ძველ სახელმძღვანელოებს და დღე მუდამ იმას ფიქრობს, თუ როდის ელირსება ამ სათაყვანო ატესტატ-დიპლომის ხელში ჩაგდებას. მწარეა, ბატონებო, ამის შედეგები. ადამიანს გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ ან ამოიკითხავ გაზეთებიდან მათ ყოფა-ქცევას უნივერსიტეტის კედლებში, იქ სადაც უნდა იჩენდეს ხოლმე ადამიანი მთელ თავის ენერგიას, ნიჭსა და გამბედაობას. აი აქ ჩვენ ვტყობულობთ, რომ მათ ზურგი შეუქცევიათ ყოველგვარ კეთილშობილურ აზრებისთვის და მისცემიან არა საკადრის საქციელს.

მაშ რაშია ხსნა, რა ეშველება მოზარდ თაობას? წარმოიძახებს მკითხველი. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ავნიშნოდ, რომ დღევანდელ პირობებში ბევრი ვერა ეშველება რა ამ შემაძრწუნებელ მოვლენას. მოსწავლენი მთლიანად მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებიან, როცა მათ სავანეს ჩამოშორდება ის შავ-ბედითი ყორანი, რომელიც თავს დასტრიალებს და მუდამ უიმედობას ჩასჩხავის ყურში. ვამბობთ, ჯერჯერობით ბევრის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ამით იმედი სულაც არა გვაქვს წარკვეთილი. არ, მოიძებნებიან საშუალებანი, რომელნიც გამოგვადგებიან რამდენადმე მაინც შევებრძოლოთ ამ მოვლენას. მერე ვის ეკუთვნის აქ ბრძოლის ასპარეზი?—თვით მოწაფეთ. აი რაშია საქმე: ჩვენ ზეით აღვნიშნეთ რამდენიმე ჯგუფი დაქვეითებულ მოწაფეთა, არა გვითქვამს რა მხოლოდ იმათ შესახებ, რომელთაც შეინარჩუნეს მედგარი სული, გმირულად დაუხვდნენ მოტანილ იერიშებს იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, თავისუფლების მნათობი კვლავ მედიდურად ამოცურდება მტრედის ფერ ცაზე.

აი ამ პირებს ეკუთვნით აქ სიტყვა და საქმე. ამათ უნდა უყონ ორგანიზაცია თავიანთ დაქვეითებულ თანამოძმეთა, ამათ, როგორც მათთან დაახლოებულ პირთ, უნდა ჩააგონონ სწორ გზიდან გადამდგართ, რომ მათი დანიშნულება სრულიადაც არ შეადგენს იმას, რა გზასაც იგი დასდგომია, რომ თავის ენერგიას არ უნდა ხარჯავდეს იგი მცონარეობაში; მან უნდა შეიგნოს, რომ ადამიანი არა მარტო თავისითა სცოცხლობს, არამედ სხვისთვის. ეს საზოგადოებისთვის მუშაობა უფრო მოზარდმა თაობამ უნდა დაისახოს მიზნათ. ამ იდეამ მათში თავისს აპოგეას უნდა მიახწიოს, იგი უნდა დაიწოს საზოგადოების წინაშე ვითარცა საკმეველი:

„ერის წყლული აჩნდეს წყლულად,
ეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაედაგოს მტკიცე გული“.

საჭიროა შეგნება, რომ თვითი თავის შეწირვით იგი იქმნება ის წვეთი, რომელიც სხვა მისთანა წვეთებთან შეერთებული იქცევა უდაბნოში ამომსკდარ ანკარა წყაროთ უმწეოდ შთენილ მოწყუ-

რებულ გამვლელთა წყურვილის მოსაკლავად, ძალ-ღონის მოსაკრებად, რომ მალე განვლონ ის ხრიოკი უდაბური, რომელიც ჩამკვლელია ადამიანის სიცოცხლის აზრისა, ამ ამხანაგობამ უნდა პირდაპირ, პირ თვენელათ გაკაცხოს გასაკაცხი ამხანაგი. ამისათვის საჭიროა ერთმანეთთან დაახლოვება, მჭიდრო კავშირის დაჭერა, შედგენა კვალინდებულათ წრეებისა, სადაც უნდა იკითხებოდეს რეფერატები, ირჩეოდეს სხვა და სხვა მწერალთა ნაწარმოებნი, რითაც მოიზიდავენ თავიანთ ამხანაგებს. აგრეთვე ჩ.-გონება მათი, რომელნიც გატაცებულ-მოხიბლულნი არიან ზოგიერთ მასწავლებელთა რჩევით, რომ სასწავლებელს ისე კრიტიკულათ ნუ ეჭცევიანო, რომ იგი არც ისე გასაკიცხავია, როგორც კიცხავენ, რომ ამ ძველმა სასწავლებელმა მოგვცა ბელინსკი, პისარევი, პლეხანოვი, ჩერნიშევსკი და სხვანიო. ჩაგონება მათი, რომ ნუ მოიხიბლებიან ამ სიტყვებით, რა გან ძველმა სასწავლებელმა თუ მოგვცა თითო-ოროლა გამოჩენილი კაცები, მან მოგვცა აგრეთვე მარკოვ-პურიშკევიჩები, ბობრინსკ-დუბროვინები და აუარებელი უტვინო მოხელეები, რომლებშიაც გამქრალია ადამიანობის ნიშან წყალი. საჭიროა, მოწაფეთ იცოდენ, რომ თითო ოროლა კაცებს თუ გვაძლევს რომელიმე ხანა, ამით არ შეიძლიან მისი მოწონება, რადგან მაშინ ანტიკურ ქვეყნის დაბრუნებას მოვიხოვდით რადგამ მან მოგვცა იმისთანა ფილოსოფოსმეცნიერნი, როგორიც არიან: არისტოტელი, პლატონი, გერაკლიტი, სოკრატი და სხვანი. საჭიროა მოზარდმა თაობამ არ დაივიწყოს ლიბკნეხტის სიტყვები: რომ სკოლა უძლიერესი საშუალებაა განთავისუფლებისათვის, იგი აგრეთვე უძლიერესი საშუალებაა დამონავებისათვის. საჭიროა ამ დაქვეითებულთა შელმარ ზე დაყენება, დანახვება იმ მწვერვალისა, აიტკენაც უნდა მიისწრაფოდეს თვითეული მათგანი. საჭიროა აგრეთვე მოზარდი თაობა ხშირათ მიგონებდეს ხოლმე პოეტის სიტყვებს:

„Если жизнь тебя обманетъ,
Не печалься, не сердись;
Въ день уныліи смирись,
День веселья, вѣрь настанетъ.
Сердце въ будущемъ живетъ,
Настоящее уныло,
Все мгновенно, все пройдетъ
Что пройдетъ, то будетъ мило“.

აი, რა როლი უნდა იკისროს ახალგაზრდობამ თუ სურთ, რომ თავისი დანიშნულება პირნათლათ შეასრულოს მშობელი ერის წინაშე.

დ. თურდოსპირელი.



სიზმარი

ვნახე სიზმარი: მშვენიერ კორდსა
იდგა მოხუცი ნათლით მოსილი
ხელთ ეპყრა ჩანგი, ოქროს სიმთ ჟღერა
დასტრიალებდა გარემოს, ტ ბილი!
ღვთიური ჰანგი, ზეციურ ძალით
უცხო ბუნებას ეფინებოდა

და აფთარ მხეცსაც საამო ხმებზე
ძალი ერთმოდა—იშმუშნებოდა..
მღერდა მოხუცი ერთა სიყვარულს,
ქებით ატკბობდა ტურფა მხარესა,
და სიო ნაკრავ სიმთა ჟღერითა
უხვად ატკბობდა არე მარესა!
ერი უმზერდა საყვარელ მგოსანს
მეზობელ მტრებთან ხელ ჩაკიდული,
დავიწყებოდათ შური და მტროპა,
ძმურათ გარდექმნათ მოქიშპე გული...
სამოთხე იყო: ძმობის ალამი
ამაყათ ცაში დაფრიალებდა
და საზოგადო მოყვასთ სიყვარულს
შეურყეველათ აღიარებდა!!
აღმოსავალით დიად მნათობსა
შარავანდედით შეეკრა თალი
და ოქროს სხივით იმშვენებოდა
ტურფა კეკლუცი—ედემის ბაღი!..
გასწვრივ საკლდეზე გადმომდგარიყვენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი!
და მათ სიხარულს ბრგე ბანს აძლევდა
ბედნიერებით სავსე მთა-ბარი!...
ერთობ ზეიმი... მხიარულება
სულს მიჩქროლავდა, მიფეთქდა გული
და ბედნიერსა საერთოდ მსურდა
გამომეცადა მეც სიყვარული!

—


და ამ დროს უცებ გამომელვიძა
გაქრა სიზმარი ვით მოჩვენება
და მის ადგილას თვალთ წარმომიდგა
მგოსნის სურათი—მშკნიერება...
ერი თვალს იფშვნეტს, ეყო დუმილი
კვლავ განახლებით სდგება ივერი,
იღვიძებს მხარე!... ვხედავ განთიადს
აგერ კაშკაშებს სხივი ძლიერი!...

დემონი.

ნუ ნუ მილოცავთ.

ნუ, ნუ მილოცავთ—ამ ობოლ გულსა
ალარ ახარებს ახალი წელი;
დე სხვები შეხვდენ მას სიხარულით
მე კი კარგს მისგან არაფერს ველი.
ღღეს ძველებურათ მძიმე ბორკილებს
კიდევ ადებენ ხელებზე მშრომელს;
ავ სულთ ხარხარი გაისმის ყველგან...
არავინ იცის რა ელის სოფელს..
ზოგს სული ხდება შიმშილისაგან,
ზოგი უზომოთ გამაძღარია...
ბევრი შეჰხარის ამ წუთი სოფელს,
ბევრისთვის იგი არაფერია..
„მაშ ნუ მილოცავთ ახალსა წელსა,“
ის ვერ დააცხრობს მწვავე იარებს,
ვიცი ვინც შარშან იტანჯებოდნენ
ისინი წელსაც დაღვრიან ცრემლებს...

ქნარი.



ფიქრათ იქცა.

(შაქსა ბურძნიშვილს).

ბინდ-ბუნდზე, მოზრდილ ოთახში, მოგუგუნე ბუხრის წინ, სავარძელში ახალგაზრდა დათიკო ზის.

ოთახი მდიდრულადაა მორთული; მშვენიერი სურათები აკოხტავებენ კედლებს. სიბნელეში ეს სურათები საშინელებას აბნევენ.

ნაპოლეონი ვატერლოოს შემდეგ თავზედ დაჰყურებს დათიკოს; მისი დაღვრემილი, საიდუმლოებით აღსავსე სახე მწარე გაკვეთილებს აძლევს გამოუცდელ დათიკოს, რომელიც სცდილობს მიაღწიოს ბუხრის იდუმალ გუგუნის მნიშვნელობას და ფიქრებში ეფლობა...

— მდიდარი ვარ, ერთი შეხედვით ბედნიერი, — ფიქრობს დათიკო, — მაგრამ სადაა ნამდვილი ბედნიერება? სადაა სულიერი სიმშვიდე?! სადაა სიყვარული? არსად, არსად... ამ ქვეყნად ყველ გან უსამართლობა მეფობს, დაპარპაშებს; სუსტი კვნესა ვერას აკლებს მის თავხედობას... გამძინვარებულმა ბრბომ, ქრისტეს მცნებით აღჭურვილმა, მამა მომიკლა, კეთილი მამა. რა დააშავა? მარტო ის, რომ ებრაელი იყო. ქრისტეს მოყვარე ბრბომ მამა მომიკლა! ყოველგნით სდევნიან, ჰგვებენ და სცემენ იეგოვას რჩეულ ერს! სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს სიყვარულზე დაფუძნებული ქრისტიანობა ურიასტანის მკვიდრთ! მესმის მამიჩემის გულსაკლავი ძახილი: — **რას გვერჩით უკეთურნო**?! — კვლავ მესმის ჩვენი მეზობლის ისააკის მხდალი ვედრება: — ქრისტიანი ვარ, მე ხელს ნუ მახლებთ“. რათ გვდევნიან, რას გვაწამებენ? მართალნი არიან, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრის კანონი პირნათლად სრულდება...

მრავალჯერ აღსრულებული მესალმუნის სიტყვა ერთხელ კიდევ გამეორდა:

> — „შრავჯლ არიან მტერნი ჩვენნი და მაჯნირგებელნი ჩვენნი და წ მებჲთა მათთაგან არა გარდაგიქცეთ (ფს. 118).

ძლევა-მოსილ ურიასტანის მეფეს თითქმის გათვალისწუნებული ჰქონდა ჩვენი უნუგეშო მომავალი.

მაგრამ, დავანებოთ თავი წარსულზედ ფიქრს: იქაც ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის მეტი არაფერია.

დღეს გიმნაზიაში, სადაც მიზანი ყველას გვაერთებს, გვასისხლხორცებს, — შეურაცხჰყვეს ჩემი წმიდათა წმიდა: — **„ებრაელო, საზიზღარო ებრაელო!“** — ზიზღი მოძძიძღვნეს ებრაელობისთვის!

ამ ამბავზე დედა დაღონდა, ისეაც ჭირ-ვარამით დაძაბუნებულმა მწარედ ჩააქნია თავი და წამრჩურჩულა: — ყურს ნუ ათხოვებ, ჩემო ნუგეშო, მათ უგნურებას, დეე გვდევნონ, თვით საზიზღრები, ეგებ მალე გაძღნენ ებრაელთა სისხლით!“ ჩემი დაიკო რახილი შეცივნულ მერცხალივით სავარძელში ჩაიბუზადა დედის ნათქვამზედ ქვით-ქვითი ამოუშვა. ვგრძნობ, რომ საცოდავი გულით თანაუგრძნობდა თავის შეურაცხყოფილ ძმას, თან ზედმეტ ცრემლს აგდებდა დაკარგულ მამაზედ. შორს ისროლა გულ ჯავრიანმა თავის სატრფიალო საკრავი სკრიპკა. — „რად მინდა უმაქნისი, თუ მით ვერ შევძლებდი მტრის გულის მოლბობას, ჩვენების ნუგეშის ცემას“. ჩაიქვითინა უბადრუკმა.

რა დამრჩენია გაკიცხულ, ყველასგან მოძულებულ ებრაელს მაგიერის გადასახდელად, თუ არ მძულყარება. უკვდავი კრულვა მტრებისადმი? მეც ვხმაროთ ერთად-ერთ იარაღს გაჭირვებაში: დღეს გიმნაზიიდან დაბრუნების დროს, როდესაც გრძნობა მოწამლულ გულს არა ებრაელთადმი ზიზღი ჰფლობდა, უცხო ერის მათხოვარი შემხვდა. მისი მოძმენი, თვით ისიც, თუ საშველება ექნება, მე ებრაელს სამარემდის მდევნიან, ის კი მოწყალებას მთხოვდა:

— მოზარდო! ქრისტეს გულისთვის გაიკითხეთ საწყალი გლახა... მთლად დავიბენ... იმ ქრისტეს, ვის სახელითაც მამა მომიკლეს და ყველა ებრაელს განადგურებას უპირებს მძვინვარე ბრბო, იმ ქრისტეს სახელით მოწყალებას ითხოვენ... ცემა-გვებასთან ერთად, დამცინიან კიდეც... ცერად შევხედე თავხედ გლახას და გზას გავუდექ.

ესეც ეწყინა გულჩვილ დედაჩემს, თუ რატომ არ გავიკითხე მათხოვარი...—„ის ხომ იმ წამს არას გიშავებდა, ჩემო ბეღურავ —მაშ რათ არ გაიკითხე?!“.

რახილმაც მისაყვედურა: ყელზე შემომექნა ორთავ ხელებით და ცრემლიან თვალით გულქვაობას მიკიჟინებდა.

მაინც გული თავისას არ იშლის... ეხლა, როდესაც საქრისტიანო ერი მესიას ქვეყნად მოვლინებას ტრფობით იგონებს, გულ-მოკლული ამას ვიტყვი:

* * *

მოგუგუნე ძველი ბუხარი დათიკოს ზრახვად მესაიდუმლეობს, კედლის საათი უდარდელად განაგრძობს თავის „ძიგ-ძაგ, ძიგ-ძაგს“,—და ფეხ აკრეფით შემოსული რახილი კი კარებთან მჯდომ სავარძელში, ცრემლად იღვრება ძმის შეუმჩნეველად..

ვ. თამროშვილი.



მოღლილი

(მეგობარს)

როს ბნელად გაშლილ ვრცელ მინდორ-ველზე
მძაფრის ღმუილით საშიშ-საზარო
დაჰქრის, სისინებს უარეს-გველზე
ღრიალით, ზარით უსახლ-უკარო,
ქარი მრისხარე; შხუილით, დრტვინვით
მიდამოს არყევს, ყოვლისფერს ჰლეწავს
ტურფა წალკოტის, მძლავრ და სწრაფლ-
ქროლვით
დიდროვან ხეთა, ჰღუნავს და ჰკეცავს.
როს სულით ობოლს და განწირულსა
გული მიკვნესის შავ-ფიქრთ ტყვედ
პყრობილს
და ბნელ-ძალთაგან მკერდ-გაღადრულსა
არსით მშვენიან ადამის შობილს.

* * *

ოჰ, ამ დროს სად ხარ? სად, მეგობარო?
მისმინე გვედრი გაგულმკვდარებულს
ჩემსკენ ისწრაფე კეთილო მტკბარო
მო ნუგეში მეც დასჯილ-წამებულს.

* * *

როს მძლე გრიგალი გიჟურის სტვენით
გააფთრებული მეხებრ მოგრგვინავს,
და ქარიშხალიც ბოროტ-უტყვ-ენით
შავს ამბავს მამცნობს, მეხს მატეხს,
გმინავს
და ცაც პირ-ქუში დაბნელებული
ლოდებრ ქვეყანას ზედ დასწოლია,
ვით გველ-ვეშაპი პირ-დაღებული
დანთქმას გვიქადის ჰქუხს მეხ-მსრბოლია.

* * *

მაშინ, ოხ, ამ დროს მითხარ შენს ძმობილს
ნუ თუ შენც ჰქონავ ისედაც გმობილს

ჩემს მწარე ამბავს ქვითინით თხრობილს
და არ აღმადგენ პირქვე დამხობილს?

*
* *

მაგრამ პასუხად კაეშნიანი
მხოლოდ მძვინვარნი ქარნი ღმუიან,
და შავ-წყვდიადში ადამიანნი
ღრმად ინთქმებიან... იღუპებიან.

გ. ჭუჩიშვილი.



(ვუძღვნი არჩილის ხსოვნას).

განთიადისას დიდებულ სხივებს
წინ ეფარება ისევ ღრუბელი,
და უმზეობით საბრალოთ ჰკნება
მკაცრ ყინვისაგან ია სურნელი!

—

მაგრამ ღრუბელი გადიფანტება
კვლავ გაიხსნება მნათობის თაღი
და სურნელოვან ია ვარდებით,
კვლავ ამწვანდება ედემის ბაღი!

დემონი.



† არჩილ ჯაფარიძე.

—

დეკემბრის დეპეშამ მეტად შემაძრწუნებელი, გულის გამგმირავი, თავზარდამცემი ამბავი მოგვიტანა. პეტერბურგიდან სევასტოპოლის ციხეში გადაყვანის დროს არჩილ ჯაფარიძე გარდაიცვალაო. თუ ვინ იყო არჩილი ეს ყველამ კარგათ ვიცოდით. ვიცოდით ის, რომ იგი თფილისის გუბერნიამ აირჩია მეორე სახ. სათათბიროს წევრათ თავიანთი ინტერესების დასაცავათ.

მიუხედავათ იმისა, რომ არჩილს დიდი განსაცდელი მოელოდა მას სრულიათაც არ უთქვამს უარი: იგი სიამოვნებით მიეგება თავის მოწოდებას და გაემგზავრა სათათბიროში. ვერც ფიზიკურმა სისუსტემ, ვერც რეაქციონერთა მუქარამ არ ჩილს ვერ მოახრევინა ქედი. მას მუდამ ამაყათ ეჭირა თავი და თავრიდის სასახლეში მჭექარეთ გაისმოდა მისი ხმა და ოავზარსა სცემდა თავისუფლების მოძულეთა ლაშქარს. . ეს არ მოსწონდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ერთ მშვენიერ დღეს დაითხოვეს სათათბირო:

ს.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრებს ხუთ-ხუთი წლით კატორღა მიუსაჯეს. მათ შორის არჩილიც მოჰყვა. კავკასიის უხვ ბუნებას შეჩვეული იგი მოამწყვდიეს ბნელ საკანში, მაგრამ არჩილი, როგორც ძლიერი სულის პატრონი, სასოწარკვეთილებას არ მიეცა. მას არ ავიწყდებოდა დიდებულ მასწავლებლის სიტყვები: „ჩვენ შეუბრალებელნი ვართ და არც თქვენგან ვთხოულობთ შებრალებასაო“ და მედიდურად—გულ-ზვიადათ ჰხვდებოდა ყოველგვარ გასაჭირს. ის იყო ძლიერი სულიერათ, მაგრამ ფიზიკურათ-კი სუსტი აღმოჩნდა: მან მალე დალია სული.

ამ კვირას ჩვენ მიწას მივაბარეთ მისი გვამი.

მოკვდა არჩილი, მაგრამ მისი იდეა კი არ მომკვდარა. თავისი გმირული სიკვდილით მან დაბადა მრავალი არჩილეო

ბი. მისი სახელი სამარადისოთ აღიბეჭდება მოწაფეთა გულში და შეეცდებიან მის მიერ განუხორციელებელ დასახულ მიზნის ძლევა მოსილათ დაგვირგვინებას.

დ. თურდ—ი.

ოჰ ცრემლო, ცრემლო...

—

ვით ადამიანს, მსურს სიხარული,
შუბლისა გახსნა, სიცილი, შვება,
მაგრამ ოჰ, ღმერთო! ცრემლი ცრემლს მოსდევს
და სევდა სევდას ზედ ემატება.

მშობლები გაჰყვნენ ულმობელ სიკვდილს,
ობოლი გული ცრემლადა დნება;
მწარე ცხოვრების შავი აჩრდილი
სიკვდილის სახით თვალთ მელანდება.
სასწავლებელში სწავლის ფულს მთხოვენ,—
გულს აწევს სევდა და გაჰირვება!..
ოჰ, ცრემლო, ცრემლო, გამაგებინე,
ესოდენ ტანჯვა რით გათავდება?!

ი. მჭედლიშვილი.



წვეთები

(ვუძღვნი სემინარიელ ამხანაგებს).

საზარელ შავათ აყუდებულ მთებ შუა თავი ამოეყო პატარა წყაროს და სუსტად ცემდა...

ის თან და თან მატულობდა!

მაგრამ აყუდებული მთები გზის გაკვლევას უშლიდენ და საბრალოც ერთ ადგილას დაგუბებული ტალახით ისვრებოდა...

გარედან სიცოცხლე დუღდა!

ჟამ-და-ჟამ მოისმოდა გაურკვეველი ხმაურობა-ჟრიამული, მაგრამ საბრალო წყარო უკვე ჭაობათ გადაქცეულიყო და ათასნაირი ჰიალუებით სავსეს ფუსფუსი გაჰქონდა...

ცხოვრებისა არა ესმოდა!

მზის სხივები მასთან ვერ ჩაწვდენოდენ!

—

გავიდა ხანი... მზის განმაცხოველებელ სხივებმა გააპეს ნაპრალი და დაგუბებულ წყაროსაც უცხუნეს ნაპერწკლები!

წყარო უკვე ტალახათ გადაქცეულიყო!

მხოლოთ ტალახ შუა ადგილ-ადგილ ჩარჩენილი წვეთები ბზინავდენ, რომელთაც მნათობის სხივზე თვალები ახილეს და ერთ ადგილზე გადაციმციმდენ...

მათი გაბედული მეტიჩრობა გაუკვირდათ ტალახ-ნარევ ბალახებს, და დაცინვა დაუწყეს...

წვეთები კი გზას განაგრძობდენ!

მიადგენ ნაპრალს და გადახედეს:

საშინელი ხმაურობა იყო!

აუარებელი ნაკადულები საშინელის სისწრაფით მიექანებოდენ ქვევითკენ და ერთმანეთის ჯიბრობაში კისრის ტეხით გადადიოდენ.

წვეთები შეჩერდენ!

თავბრუ დამხვევ აჟურ-ზაჟურმა შეაშინა მათი ჯერ გამოუცდელი გული...

ამ დროს ჩამოუბერა მთის სიომ და საამურათ წასჩურჩულა:

— „ნუ გეშინიათ, მეგობრებო, გასწით წინ!“ წვეთები გრძნობაზე მოვიდენ, გამოფხიზლდენ და პირველი ნაბიჯი გადადგეს.

იქვე გვერდით გრიალით მიექანებოდა მთის ნიაღვარი და რა შენიშნა წვეთები გაუკვირდა:

— თქვენ საით?!

— ჩვენც ზღვისკენ, ზღვისკენ—უპასუხეს წვეთებმა

— ნუ თუ?! ჩაიცინა ნაკადმა და ამხანაგებს გადახედა:

საზარელი ხარხარი გაისმა მთებში!

წვეთები შეჩერდენ!

შერცხვათ!

მათ პირველ ნაბიჯს სიცილით ხვდებოდენ!..

ზოგიერთებმა თითქმის დაბრუნებაც დააპირეს!

მაგრამ საამური სიო აიმედებდა:

„ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ“-ო!

ზევიდან კი ცხოველ მყოფელი სხივები მხიარულ „მაყრულს“ უმღერდენ...

წვეთები გათამამდენ: ახსენეს მნათობი და ხელი-ხელ ჩაკიდულნი დაეშვენ ძირს!

გზაში თანდათან იზრდებოდენ.

კარგა გზა გაევლოთ..

ახლა მათ კლავინდებურათ სუსტად არ უცემდათ გული. მთიდან ჩამონადენ სხვა წვეთებთან ერთად მჭეფარე ნაკადულათ გადაქცეულიყვენ და მათთან

ერთად მხიარულათ მირუხრუხებდენ ქვევით...

ზღვისკენ!...

დემონი.



ჩვენება

შემოჯგომისას, როს მთა-ბარი ჯანყში სცურავდა,
ცისა კაბადონს დიადი მზე აღარ სწურავდა;
გამოველ გარეთ,—შავ-ფიქრთ ღელვით აღტყინებული
ვითარც ბუნება, ისე ჰკვნესოდა ეს ჩემი გული.
ეული ქარი უგზო-უკვლოდ მოხეტიალე
მწუხრისა ხმაზე მოზუზუნე—ვით მგლოვიარე
ზედ მასქდებოდა, მუქ-მტვერითა თვალებს მივსებდა
და მით უფრო გულს მიბოჭავდა ვარამი სევდა.
მივილტოდი წინ, მაგრამ რისთვის? თვით არ ვიცოდი
უთვისტომოდა, უმეგობროდ მწარედ ვიწოდი
მუდარებითა გავიშვერდი მეგობრისკენ ხელს,
მაგრამ მის ნაცვლად მოვისმენდი ტყის ამონაკვნესს...
ამ დროს მას შეეხვდი მშვენებასა, ტურფა ჩვენებას:
მგზნები თვალები ღაღადებდნენ მისს ძლიერ ნებას.
მითხრა: „ჰაბუკო! გაქცეულხარ მედგარ ბრძოლასა
და დიაცურად მისცემიხარ ტანჯვა-ოხვრასა.
მითხარ, რა იქმნა? სად შთაინთქა ის ამაყობა,
სპეტაკი გრძნობა, ლაღი სული, გულ-ზვიადობა?
კმარა, გეყოფა, დაეხსენი მაგ ძნიად კდემას
და შეუერთდი ცხოვრების სვლას, მისს ზვირთთა ღელვას“.
სთქვა ეს ჩვენებამ და ბურუსში შეისრიალა
მსხვრეულსა გულში ახალ ძალამ დაიფრთხიალა
ფრთები შემასხა, აღმაფრთოვნა, გამასალკდევა,
შმაგსა ფიქრებზე იმედებმა განსცადეს ძლევა.

დ. თურდოსპირელი.

რამე-რუმე.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენანი, სავსებით თუ არა, ცოტათი მაინც ეხებიან მოსწავლეთ და რადგან ჩვენს ალმანახს მოსწავლე ახალგაზდობის სამსახური აქვს დასახული, საჭიროა მათ ანგარიში გაუწიოთ. ამ ჟამად მე ვიმასლათებ იმ საგულისხმიერო მოვლენაზე, რომელსაც ქართველ მოწაფეთა ცხოვრებაში ქონდა ალაგი. აი რა-

შია საქმე: 7 დეკემბერს, ქართველ ერის ეროვნულ დღესასწაულის დღეს, მოწაფეთ აეკრძალათ მონაწილეობის მიღება. იმ დროს როდესაც საქართველოს თვითეულ კუთხიდან წარმომადგენელი წარმომადგენელზე მოდიოდა; როდესაც ყველას, დიდს თუ პატარას სურდა დიდებულ ქართველის წინაშე დაემტკიცებია თავისი **ჯერ კიდევ ქართველობა**, მოსწაულე ახალ-გაზდობა მოკლებული იყო ამ ბედნიერებას. საქმის კარგი გასინჯვა კი დაგვარწმუნებდა, რომ ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობა ისე არავისთვის იყო საჭირო როგორც მოწაფეებისთვის. ამას გრძნობდა ყველა დღესასწაულზე დასწრებისას, ამასვე იძახდა თვით დიდებული იუბილიარი აკაკი მთელ თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის ხანაში. ასე იყო, რომ ყველა მომავლზე ოცნებობდა, ყველა ეროვნულ თვით შეგნების ნაყოფს—აღორძინებას მომავალში ეძებდა, ისინი კი ვინც შეიქმნელი უნდა ყოფილიყო მომავლის იძულებული იყო 7 დეკემბერს ამოხეთქილ ეროვნულ ნაკადულისთვის არ შეერთებია თავისი „ანკარა“ წყარო. ვის მეოხებით მოხდა ეს? ამაზე ლაპარაკიც მეტია, რადგან ყველამ იცის ძაღლის თავი სად მარხია.

* * *

დიახ, ყველაზე ძალიან მოწაფენი საჭიროებდენ გულში ეროვნულ ნაპერწკლის გაღვივებას. მ გრამ საჭიროა გავიგოთ თვით მოწაფეები რაღას ამბობდენ როცა აუკრძალეს იუბილეიში მონაწილეობის მიღება? დიდი აღელვება გამოიწვია მათ შორის. ნეტავი რა იყო აღელვების მიზეზი? საქმის დაკვირვება ნათელს ჰყოფდა და დაგვანახვებდა, რომ დიდი ნაწილი მოსწავლე-ახალგაზდობისა იმით კი არ იყო გულ დაკოდილი, რომ მათ იუბილეიში ვერ მიიღეს საგულისხმიერო მონაწილეობა; რომ წრფელი სიტყვებით ვერ მიმართეს იუბილიარს. არა... ეს მათ აგრე რიგად არ ამოძრავებდა; მათი სიბრაზის დედა ძარღვი „თავმოყვარეობის“, შელახვა, ღირსების ფეხქვეშ გათელვა იყო; მართლაც არ იყო თუ, ბოლმა მოსასვლელი! მთავრობამ „ადამიანად არ ჩაა დო“ და ნაანდრევი დაინახა მათი ესტრადაზე მიმოსვლა... ეს კიდევ არაფერი. სირცხვილი ის იყო, რომ მთელმა ქალაქმა გაიგო მათი ფაციფუცი; ყველამ შეიტყო, რომ „რჩებს“ ამზადებდენ და „პადარკისთვის“ ფულებს აგროვებდენ. რას იტყოდენ ახლა? ხომ დასცინეს, ფაცურისათვის?.. მერე ამოდენა ცდამ აძაოთ ჩაიარა. აი, ამის გამო იყო, რომ მოწაფეებში იუბილეის წინა დღეებში მალ მალ ისმოდა „რადიკალური“ აზრები; და რადგან „საწყალ“ ქართულ ენაში არ მოიპოვებოდა საჭარო ტერმინები გულის წყრომის გამოს ხატავად, ჩვენი სამშობლოს მომავლის „ბურჯ“თაგან გაიგონებდით:

— არ ვიცი, ღმერთმანი, что за гнусное насилие. არ შეგვიძლია, ნაციონალნი ლუბიმეცი ვიდღესასწაულოთ. და მრავალი მაგგვარი. საბრალო, მრავალტანჯულო...ქართული ენა, ვის ხელში ხარ ჯერ ახლა, მომავალში ვისაში უნდა გადახვიდე.

უიმედო.

მოწაფეს.

როგორც კოკორი ქორფა ვარდისა,
ჯერ შენ ხორჩი ხარ გაუფურჩქვნელი...
მაგრამ მოვა დრო... განვითარდება,
რომ განგვინათლო წყვდიადი ბნელი!

ჰე! დაეწაფე მეცნიერებას,—
იშრომე, ცოდნა შენ შეიძინო,
რომ აღფრთოვნებით შემდეგ ეს ცოდნა
მშობელი ერის შორის მოჰფინო!

გვრწამს, ვიმედოვნებთ, რომ ბნელეთში მყოფთ
გზას განგვინათლებ, წინ გაგვაძღვები,
რომ იქნებ ამით ცოტათი მაინც
ტანჯულთ მოწმინდო სიმწრის ცრემლები.

ლადო კატოძე.



* * *

შავი ღრუბელი სამშობლო ზეცას
როგორც ზეწარი გადაეფარა;
და მობრწყინვალე მზისა სხივებსა
მრისხანე სახით წინ აეფარა.

შესწყდა მთა-ბარში ტკბილი სიმღერა
შეკრთა სულდგმული, შეკრთა ბუნება
ხმა აღარ ისმის ფრინველთ ჭიკჭიკის...
ხალხშიც გაისმის კვნესა ვაება!...

გლოვობს ქვეყანა და შავის ძაძით
შემოსილია მთლათ არე-მარე...
მაგრამ... მე მაინც გულით მოველი
როს განათდება სამშობლო მხარე.

ველი!... იმედით აღჭურვილი ვარ:
ვიცი მზის სხივი გამობრწყინდება
და დატანჯული ჩვენი სამშობლო
კვლავ განათდება, კვლავ განათდება!..

ნ. დიდებულიძე.



შთაგეჭდილებანი.

(რუსულ მწერლობის ახალ მიმართულების შინაარსი და მისი ნაყოფი ცხოვრებაში).

აწინდელი მიმართულება რუსულ მწერლობაში იმდენად დამახინჯებულია, მრუდე გზაზეა დაყენებული, რომ გაუცნობრობა სჯობს მის გაცნობას. არციბაშეებმა, ჩულკოებმა, რუკოვიშკოებმა და ძმანმა მათმა 'მექმნეს ისეთი მოწამლული ატმოსფერა, რამაც დამღუპველად იმოქმედა რუსეთის საზოგადოების თვითეულ ნაწილზე და დემორალიზაცია შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის მაგიერ რომ მწერლობა ხალხის სულიერ „მე"-ს გამომხატველად გადაექციათ, მის მაგიერ რომ მასში აღეძრათ ცხოვრების პირობების მიერ წამოყენებული საჭირბოროტო კითხვები, დასასრულ მის მაგიერ რომ, შეემუშავებიათ ახალი ბილიკი, რომელსაც უნდა დადგომოდა რუსეთი უკიდურესს მდგომარეობიდან თავდასახწევად და დაესახათ მომავლისთვისთვის იდეალი, რის გახორ-

ციელება ტანჯვას მოჰბანდა კვნესით და მწუხარებით მოცულ რუსეთის სინამდვილეს, ახალ მწერლობის „ტონის“ მიმცემლებმა აუხვიეს ნამდვილ გზას, გუნდრუკი ჰკრეს თავიანთ ჭეშმარიტ დანიშნულებას და მათი საგანი მოღვაწეობის „ხვევნაკოცნა, ტყლაშა-ტყლაშს“ შეადგენდა. დიახ ახლად მოვლენილნი მგოსნები არა იქ აჟღერებდენ ჩანგს, სადაც საჭიროებას მოითხოვდა. მათ მგოსნობის დედა-ძარღვს სიყვარული, მაგრამ ღმერთო შენ დამიფარე, რა დამახინჯებული სიყვარულის ხოტბა-შესხმა შეადგენს. ბევრს ეგონება, თითქოს ამ სიტყვით ე. ი. სიყვარულით გაისაზღვრებოდეს მათი სამარცხვინო მოღვაწეობა.—„სიყვარული ხოტბა ნუთუ სამარცხვინოა?“ იკითხავს იგი გაკვირვებული.

საქმე იმაშია, რომ ეს ახლად მოვლენილნი მოციქულნი სიყვარულისა, არა იმ სპეტაკ, უკეთილშობილესს გრძნობას გულისხმობენ, სიყვარულს რომ ახსენებენ, რომელიც აცისკროვანებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის მიწიერ არსებობას იერს და შინაარსს აძლევს და უადვილებს ეკლით ფენილ სიცოცხლის გზას, უმარტივებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას სინამდვილეს თან... არა და ათასჯერ არა!.. ეს ვაჟბატონები ამ უძვირფასესს განძს ადამიანის არსებისას, ამ საუნჯეს, რომელიც ნექტარივით მოქმედობს დავრდომილზე და სასწაულმოქმედობს რა უნერგავს გულში ღვთაებრივ ნაპერწკალს უბრალო მომაკვდავს,—სწორედ ეს დიდებული გრძნობა შელახულ-შებილწულია მათ მიერ; იმავე სახელწოდებით, ე. ი სიყვარულით კი, გამათახსირებელ მოვლენებს, ხორციელ ალვირ-ახსნილებას, პირუტყვულ მგრძნობიერებას გულისხმობენ. ამ ბილწ საქმეში იმ წერტილამდე მიდიან, რომ როდესაც ადამიანთა წაბილწვით არ კმაყოფილდებიან, რუკავიშნიკოვისა არ იყოს, სატანის ქანდაკებასთანაც ლამობენ აშიყობას, სარეცელში მხურვალე ხვევნა-კოცნას. ასეთ პირუტყვულ, პირველყოფილ შეხედულებით იმ საგანზე, რომელიც შეგნებულ და ზნეობრივ ნორმას არ გადასულისთვის წმიდა სპეტაკია, ისაზღვრება მათი საშვილიშვილო საწერლო მოღვაწეობა. ამას ჩადიან ეგრედ წოდებულნი ეროტომანები და დეკადენტები.

რომ იცოდენ უბადრუკებმა ლოღიკას და სიმშვენიერეს მოკლებული მათი დამახინჯებული აზრები რა რიგ დამღუპველად მოქმედებენ რუსეთის საზოგადოებაზე, ჩაუფიქრდებოდენ ნამოღვაწარს და შედრკებოდენ. მათი ქადაგებანი ელვის სისწრაფით ვრცელდება თვალუწვდელ რუსეთის იმპერიის თვითეულ კუთხეში, მოარულსავით უვლის ყველას და მოაქვს თან დასაწყისი ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ გადაგვარებისა. იმ დროს, როდესაც საზოგადოება მწერლობიდან სულიერ საზრდოს მოელოდა, როდესაც კრიტიკულ პირობებში მასში სურდა ეძებნა გზა შველისა, მწერლობის კორიფეებმა უფრო გამოუთქმელ მდგომარეობაში ჩაგდაყენა და ზნეობრივ გასპეტაკების, გამტკიცების მაგიერ უმწვერვალესადმე მისული გათახსირება დაგვითესა, ჯანმრთელობის მაგიერ ვენერიული ავადმყოფობანი, ცხოვრებისადმე ხალისის, მომავალისადმე ტრფიალების გაღვიძების ნაცვლად, ერთი ათასად გაავრცელა თვით მკვლელობა და კეთილშობიური ლამპარი ჩაუხშო გულში ოცნებით და იმედე-

ბით მცხოვრებ გაუხრწნელ ახალგაზდობას. ვინ უწყის, რამდენი გამოესალმა წუთისოფელს იმ მიზეზით, რომ გაყვა საერთო ჩანჩქერს, იწამა სოლოგუბების და ივანოვების ღმერთი, მიყო მათ მიერ ნაკარნახებ დროის ტარე'ას, ღალადებდა მარტო ხორციელ სიტკბოებას, მის გარეშე არაფერს ხედავდა. რის გამოც ეწერებოდა ეგრედ-წოდებულ „თავისუფალ სიყვარულის“ ლიგაში და... განცხრომას ეძლეოდა. მერე, როდესაც ყმაწვილურ გატაცებას ფრთები ეკვეცებოდა, ხელოვნურად აღვირ-ახსნილი ვნებათა ღელვა იღუჩებოდა და შესაძლებელი ხდებოდა ჩადენილის გათვალისწინება,—მათ შესაჭარი სურათი ეშლებოდათ თვალ-წინ. რაც უფრო უკვირდებოდენ თავიანთ თავს და ჩადენილ საქმეს მით ერთი-ორად საძაგელი ეჩვენებოდათ განცხრომით დროის ტარება. საშინლად დარცხვენილთ მათ ძილში თუ ცხადათ ელანდებოდათ ჩადენილი საძაგლობანი, სინდისის ქენჯნა მათი ერთგული თანამგზავრი იყო, მათ ეჩვენებოდათ თითქოს ყველამ იცის მათი საზიზღრობა;—ყველა ზემო აღნიშნულ ჭირ ვარამს ვერ უძლებდა მათი ახლად აფურჩქვნილი თავმოყვარეობა და თვით მკვლელობით ათავებდენ საქმეს.

თვით-მკვლელობა ზოგიერთ საქმეში მართლა რომ ერთად ერთი სახსარია ძველებურ პატივის და სახელის დასაბრუნებლად. ბევრ შემთხვევაში თვითმკვლელობა სასარგებლოც არის საზოგადოებისთვის საზოგადოდ, კერძოთ კი მკვლელობის რამდენისათვის. შეიძლება ისეთი სენითა შეპყრობილი ადამიანი, რომ მისი მოძრაობა საზოგადოებაში დამღუპველ დაღს აჩენს, გახრწნილებისკენ მიყავს ყველა ის, ვისაც ექნება უბედურება მასთან დაახლოებისა. ამ შემთხვევაში თვით მკვლელობა მართლა რომ სამართლიანია, რადგან საზოგადოებაც გადარჩენილია უბედურებისგან, სენი შეპყრობილი პირიც. მაგრამ ასე არ იყო ბევრ შემთხვევაში საქმე, როდესაც ახალგაზდა უდროოდ სიცოცხლეს ესალმებოდა. მათი სენი დარცხვენა იყო, შეგნება ჩადენილს ცუდ ღირებულებისა. ამიტომ საკმარისი იყო მათვის მოგერეცხათ ზემოჩამოთვლილი სენი, გაგეკურნათ მათი ოდნავი სულიერი ჭრილობა, რომ იგინი ძველებურად ჩიტუნებივით ფრთას-ფრთას შემოკრავდენ და ცხოვრების ქარტეხილში ჩაიყურყუმელებდენ, არა როგორც გამოუცდელნი, ცხოვრების ცოდნას მოკლებულნი, არამედ შეგნებულნი, წინდასწარ იდეალით გამიზნულნი. ამის ჩადენა ევალებოდათ როგორც მწერლობას, (არა იმ მწერლობას, რომლის ცდამამაც ახალგაზდობა თვითმკვლელობამდე მიიყვანა), ისე მშობლებს და პედაგოგებს. მაგრამ პირველთ ამ გარეემობისთვის თითქმის ღირი არ უთხოვიათ, ანაც გაკვრით ახსენიებდენ, მეორენი კი ახალგაზდებში გარყვნილებას და მკვლელობის აღმოფხვრას სიმკაცრით, როზგებით კისრულობდენ. „თავისუფალ“ ლიგის მქადაგებელ მწერლობის მოღვაწეობის შედეგად არა მარტო თვითმკვლელობა იყო. ზედ იყო ნათქვამი, რომ ზოგ შემთხვევაში სიკვდილი სჯობს უფერულ და ვაგლახით შემორტყმულ სიცოცხლეს. ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს შორს მჭვრეტელ მოსანს, რომ ზოგიერთ პირობებში „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი—სახელოვანი“. ამ მხრივ რომ მიუდგეთ მსხვერპლებს „იროტი“-ს და დეკადენტობის“-ას რომ-

ს 514 მო
1909

ლებსაც შერჩათ სიცოცხლე, ზოგიერთის გამონაკლისით, შეიძლება ითქვას რომ მათასაც არ ეცოცხლად ის სჯობდა. ზოგიერთისა მეთქი მიტომ, რომ ისინი ხასიათით უფრო მტკიცენი, მგრძნობიერებით ნაკლებათ დაჯილდოებულნი შეიძლებდენ, „თავისუფალ სიყვარულის“ ცდის შემდეგ თუ არ ეპიტნაებოდათ, დაბრუნებოდენ წინანდელ ცხოვრებას. მაგრამ უმეტესნი ამას ვერ შეძლებდენ ბევრ მიზეზების მეოხებით: ერთნი იმიტომ, რომ უფასო კოცნა და ამგვარად დამთვრალნი, ივიწყებდენ უფრო შინაარსიან დროის ტარებას და მით იყვენენ კმაყოფილნი. მეორენი წუთიერ გატაცების შემდეგ, შეიძლება გრძნობდენ სიდუხჭირეს „თავისუფალ სიყვარულისას„, მაგრამ მტკიცე ხასიათს მოკლებულნი, ბუნებით სუსტნი ვერ თავისუფლდებოდენ ატმოსფერიდან, რომელიც მათ სქლად ჟანგივით შემოხვეოდათ და განაგრძობდენ, თავისთა უნებლიეთ ზნეობ ივ გათახსირების სალაროდან „სულიერ“ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას- რა საშინელ მდგომარეობაში არიან ეს საბრალონი? მათ ელვის სწრაფით ბედის წერა მიაქანებს უფსკრულისკენ, ისინი სხარტლად გრძნობენ ამას, მაგრამ... ვერ ძლებენ თავის დახწევას. მაგრამ უფრო საშინელი მტერნი საზოგადოების კეთილდღეობისა და შესაბრალისი მსხვერპლი სოლოგუბის და სხვა ვაჟბატონთა მუხთალ მოღვაწეობისა არიან ისინი, რომლებიც გადაეშვენ რა მთელი თავისი არსით გარყვნილების მორევში, შეიტყვეს რა თვითეული საიდუმლოება გარყვნილებისა, მოიმკეს საშილი სენი. მათ მარტო სენის შეძენის მომენტიდან ეხილება თვალები, ხედავენ აუცილებელ დაღუპვის მოახლოებას და ყველა ამის მიზეზად საზოგადოებას და მწერლობას სახავენ. პირველთ აბრალებენ, რომ არ იზრუნეს მასზე, როდესაც მწერლობის ქადაგებით წახალისებული გადაეშვა ვნებათა ღელვის მორევში, ჩაფლა იქ თვითეული ნაკვთი კეთილშობიურ, ადამიანურ გრძნობისა, ამით არ დაკმაყოფილდა და მოიპოვა საშინელი სენი. მის გულში იბადება შურისძიების მისწრაფება; მას სურს ერთ ათათ გადაუხადოს საზოგადოებას მის დაღუპვის ვის. რით შეუძლია ამის მიღწევა? ისეთ ერთგულ და მჭრელ იარაღს, როგორიც არის სენი (ვენერიაული) იგი ვერ ნახავს, შურისძიების სახით იგი ჰყრის თავის სენს საზოგადოების ორივ სქესის წევრებს მანამ, სანამ სენივე არ მოუღებს ბოლოს მის ბედშავ სიცოცხლეს, ან ბუნებრივი სიკვდილი არ ამოაფარებს მას შავ მიწის ქვეშ- „ეროტომანეის“ მოღვაწეობა მე გავსინჯე ჯერ მის ღირებულების მხრივ, ამის შემდეგ კი სარგებლობის მხრივ და გულსაკლავ დასკვნამდე მივედი. მას ბედნიერების ქადაგების და სარგებლობის მოტანის ნაცვლად ირგვლივ დაცემა და სიკვდილი უთესია; უკანასკნელნი უფრო ახალგაზდათა შორის ხდებოდა, რის გამოც იმავე მოძღვრებამ წაართვა რუს საზოგადოებამ მომავლის ბურჯი, საღი გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ მხრივ ახალთაობა. ერთი სიტყვით „ეროტომანების“ და დეკადენტების მგოსნურმა მოღვაწეობამ ერთი ორად გააღრმავა ის უფსკრული, რომელიც მიუწდომლად ხდიდა რუსეთის ხალხს ადამიანის გონების და ზნეობის სალაროს დაწაფებოდა, სავსებით დაეშრიტა და შეგნებულ, საღ ცხოვრების შეხედვისდა გვარად გამოეყენებია.

უიმედო.

გამომცემელი ანნა კაპანაძე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“. მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა №1.